# სახალხო გაზეთი

№ 549 ოთხშაბათი, 14 მარტი, 1912 წ. № 549

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე, პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი იქვე, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ზის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ[...] ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მ[...] პირადად შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ. „ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



შეიძლება დაკვეთა: ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის სამაგიერო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოებები** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, **10%** დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, სახლი № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისის კერძო სამკურნალოში (ქსენიევის ქ., № 7). ფოსტით ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით (აგრეთვე ყოველნაირი მიწერ-მოწერისათვის): Тифлисъ, Коргановская № 20, собст. д. Д ру Мих. Гедевани. (3—1153—2)

---

ამით ვაცხადებთ, რომ

## „სახალხო გაზეთს“

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის წიგნის მაღაზიისა** და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის“ კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

---

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

**სურათებიანი დამატება!**

მიიღება ხელის-მოწერა

**წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.**

1 მარტიდან წლის ბოლომდე ღირს 7 მ. 50 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.


---

**დიმიტრი ივანეს ძე და ბარბარე მიხეილის ასული შვილებით ლოლაძენი** ღრმა მადლობას უცხადებენ ქ. სოხუმის ქართველობას, სოხუმის რეალურ სასწავლებლისა და ქალების გიმნაზიის მოწაფეთ, მეტადრე ბ-ნ ბეგლარ თურქიას, აგრეთვე ტფილისში გადახდილ პანაშვიდზე დამსწრეთ და ყველა იმათ, ვინც წერილობით თუ დეპეშებით პატივი გვცეს ჩვენ უძვირფასეს ქალიშვილის ტფ. მე-II ქალ. გიმნაზიის მოსწავლე

## ლიზას

უდროვოდ გარდაცვალებისა გამო. (1.295.1)


---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| სადოსტაქ. ქირურგ. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| სამშობიარო, ქალთა სნეულებ. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვთა ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურის, ყელის, ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის ავ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½. |
| კბილის ავ. | **მჭარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაუტერიზაცია; **„606“ წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—292)

---

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—175)

---

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

**ხუთშაბათს, 15 მარტს,**

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**ტასო აბაშიძისა და ვ. მესხიშვილის** მონაწილეობით

## ორიობოლი,

მელოდრამა 5 მოქ. და 7 სურათ. თარგ. ავქ. ცაგარლისა.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნი ამირაჯიბი, კარგარეთელი, ლეჟავა, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, არადელი, აბდუშელი, გუნია, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყ. სალ. 8 ს.**

(2.1158.1) რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** ადმინისტრატორი **ვ. გუნია.**

---

## ახალი კლუბი

**ოთხშაბათს, 14 მარტს,**

## სინემატოგრაფი

**ს. ი. ივანიცკაიასი.** **დასაწყისი სალ. 8 საათზე.**

სინემატოგრაფის შემდეგ **იაფ-ფასიანი ლოტო.** (1.1149.1)

---

**ბირჟის დარბაზი**

**პარასკევს, 16 მარტს,** ქართ. სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

## შიო თავადი

ისტორიული დრამა 3 მოქ., შ. არაგვისპირელისა.

II

**საცოლე ერთი საათით**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: კევრიძე, მარგველაშვილი, კავთელი, ბ-ნნი: გარსევანიშვილი, გიორგობიანი, გველესიანი, გაგნიძე, თვალჭრელიძე, იმერელიშვილი, კაპანაძე, მოხევე, ოგანოვი, ჩიქარიანი, ფირიაშვილი, ინაძე და სხვანი. ბილეთები ისყიდება წარმოდგენის დღეს 11 ს.-დან 2 ს.-დე და 6 ს.-დან წარმოდგენის ბოლომდე. ადგილების ფასი 20 კაპ. 50 კაპეიკამდე.

გამგე **თ. გველესიანი.** (3.1157.1) **დასაწყისი სალ. 8 საათზე.**

---

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი წიგნები:**

**თხზულ. ე. გაბაშვილისა** 1 მ. 20 კ.

**ილია ჭავჭავაძის** შემდეგი მოთხრობები:

| | | |
|---|---|---|
| კაცია-ადამიანი?! | 20 | „ |
| გლახის ნაამბობი | 20 | „ |
| ოთარაანთ ქვრივი | 18 | „ |
| ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი | 3 | „ |
| სახრჩობელაზე | 5 | „ |
| მგზავრის წერილები | 7 | „ |
| გლეხთა განთავისუფლებ. პირველი დროის სცენები | 7 | „ |
| უცნაური ამბავი | 4 | „ |
| რჩეული ლექსები | 7 | „ |
| განდეგილი | 5 | „ |
| კაკო ყაჩაღი | 5 | „ |
| დედა და შვილი | 3 | „ |
| დიმიტრი თავდადებული | 7 | „ |
| აი ისტორია | 35 | „ |
| ცხოვრება და კანონი | 25 | „ |
| კრიტიკული წერილები | 25 | „ |
| პოლემიკური წერილები | 10 | „ |

**ახლად შემოსული წიგნები:**

| | | |
|---|---|---|
| ოცნება, **აკაკისა** | 10 | „ |
| ორი მხატვარი, ნათარგ. ავალიანისა | 15 | „ |
| დალი, დრ.მა 3 მოქმ. გლახაშვილისა | 20 | „ |
| სამი საყმაწვილო ამბავი ვაჟა-ფშაველასი | 15 | „ |

წიგნები ფას-დადებითაც იგზავნება.

**ადრესი:** Тифлисъ Книжный магаз. О—ва распр. грамот. ср. груз. населенія. (წ.—1141—7)

---

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **გაიხსნა** ახალ პატრონთა ხელში გადასული

## კაფე-პარიზი

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

**ღია იქნება ღამის 2 საათამდე**

11—1 საათ. | 1—5 ს. | 5—2 ს.

**საუზმე**—30 კ. | **სადილი.** | **ვახშამი**—30 კ.

**ყოველ დღე:** ღომი დოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი **ბილიარდები გოც სა.** საჭმელებს სახლებშიაც ვამლევთ თვიურად, დიდის შეღავათით. (თ.—113—)

---

**სავაჭრო სახლი**

## ლ. და ე. მეტცლი და ამხ.

**განცხადებათა ცენტრალური განყოფილება**

(1878 წ. დაარსებული)

**მოსკოვში**

ვარშავაში, პეტერბურგში, ვილნოში, ბერლინში, პარიზში, ნიუ-იორკში, ბოსტონში, ბუფალოში.

ამით აცხადებს

**რომ მთელ ქვეყნის გამოცემებისთვის**

ხელის-მოსაწერად და განცხადებებისთვის გახსნა თავის კანტორის განყოფილება

**ქალაქ ლოძში.**

პეტროვის ქ., 102. (10—1130—10)

---

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.68).

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

---

## ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება

**შეუდგა ბესარიონ გაბაშვილის ბესიკის თხზულებათა** გამოცემას. წიგნი სივრცით 200 გვერდამდე იქნება და გამოვა ნაადდგომევს. წინასწარის ხელის-მოწერით წიგნი ღირს 40 კაპ. ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ წიგნის გამოსვლამდე 1) წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიებში და 2) „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება. (20—1125—14)

---

**გამოვიდა და იყიდება**

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნის მაღაზიაში**

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

**სალიტერატურო კრებული**

## „გრდემლი“

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.31)

---

## საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 257)

---

**გამოცდილმა**

## მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

**Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.**

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову). (თ. 1084.112)

---

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—47)

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით.** (წლ. 1090 295)

---

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 128)

---

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 99).

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—17)

---

**ექიმი** დ. სურამში **აპოლონ ლუკას ძე ტყემალაძე**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—235—22)

---

**ექიმი** ქ. ქუთაისი. **იროდიონ ამბროსის ძე ცეხანოვსკი**

ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო „ლონდონი“. (თ.—1129—15).

---

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—116).

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

# თავად-აზნაურთა საქმეების გარშემო

3.

კეკე-მალულობა პრინციპიალურ საკითხების გარჩევის დროს საჭირო არ არის და ამიტომ პირდაპირ ვიტყვი, რომ მ. ვ. მაჩაბელია სწორედ ის პირი, რომელიც წარა-მარა დაილაპარაკებს ხოლმე თავად-აზნაურობის მნიშვნელობაზე და ქებათა-ქებას ასხამს მას. მ. ვ. მაჩაბელის აზრით თავად-აზნაურობა **ერთად-ერთი** იურიდიული ინსტიტუტია, რომელსაც დღევანდელ პირობებში შეუძლიან ეროვნული დროშა ეჭიროს ხელში და შეძლებისამებრ დააკმაყოფილოს მრავალ-მხრივი ნაციონალური საჭიროებანი ქართველ ერისა. კარგად გაუსინჯეთ კბილი ამ მოძველებულ თეორიას. უპირველესად ყოვლისა ჩვენ უნდა გავანაწილოთ, ერთმანეთს დავაშოროთ თავად-აზნაურობა, როგორც წოდება და განსაზღვრული სოციალური კატეგორია და თავად-აზნაურობა, რომელსაც დღეს ცოტაოდენი ფულები გააჩნია და, მაშასადამე, საშუალებაცა აქვს ერის ზოგიერთი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს. მ. ვ. მაჩაბელი ექომაგება ერთსაცა და მეორესაც. მ. ვ. მაჩაბელს აინტერესებს თავად-აზნაურობა არა მარტო იმიტომ, რომ დღეს ბანკის მოგებით თავად-აზნაურობა სარგებლობს და, მაშასადამე, მნიშვნელოვან ფაქტორად ხდება, არამედ იგი თავად-აზნაურობა ღირებულებად მიაჩნია **თავის-თავადაც**. აი, სწორედ ამ საგანზე მინდა, ჯერ-ჯერობით, ლაპარაკი.

რა მნიშვნელობა აქვს **საზოგადოდ** თავად-აზნაურობას, როგორც განსაკუთრებულ პრივილეგიებით აღჭურვილ წოდებას, ამაზე ლაპარაკს არ გავაგრძელებ. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ პრივილეგიებით აღჭურვილი წოდება ყოველგან და ყოველთვის კონსერვატიული ყოფილა. ეს ისეთი საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ მეოცე საუკუნეში ბავშვსაც არ ეპატიება მისი არ ცოდნა. რუსეთის თავად-აზნაურობასთან შედარებით ქართველი თავად-აზნაურობა იქნება ნაკლებ კონსერვატიული იყოს, მაგრამ თვით წოდებრივობა მას ჩვენშიაც პროგრესის შემაფერხებელ და კონსერვატიულ ფაქტორადა ჰხდის. საინტერესოა, იქნება ეროვნულის თვალსაზრისით მაინც წარმოადგენს თავად-აზნაურობა. როგორც წოდება, რაიმე ღირებულებას, ამ მხრით ჩვენებური თავად-აზნაურობა ღირებულება კი არა ბოროტებაა. არავითარი ეროვნული იდეალი მას არ გააჩნია; მთელი მისი სული და გული მოხელეობისკენაა. იგი ყველაზე მეტად გადაგვარებულია არა მარტო როგორც ეროვნული ტიპი, არამედ როგორც სოციალური ტიპიც. უსაქმურობაში აღზრდილი თავად-აზნაურობა ეხლანდელ შრომის საუკუნეს ვერ შეეთვისა. ინტენსიურ მეურნეობის ნაცვლად დღესაც კი ყაჩაღურ მეურნეობას აწარმოებს. იგი სძარცავს მიწას, წლობით სწურავს ყველაფერს, რის გამოწურვაც კი მიწიდან შეუძლიან და თითსაც არ ანძრევს, რომ კულტურული მეურნეობა შემოვიდეს. ჩვენებური თავად-აზნაურობა მიწის დამმუშავებელი კი არ არის, არამედ მხოლოდ და განსაკუთრებით ღალების ამკრეფი. თავად-აზნაურობა ვერ შეეთვისა შრომას და ამიტომ, როგორც სოციალური ტიპი, გადაგვარდა, ყოვლად გამოუსადეგარი გახდა. მე მხედველობაში არა მყავს წვრილ-ფეხა თავად-აზნაურობა, რომელიც დიდი ხანია შრომას ეზიარა, გლეხობაში გაილესა და წოდებრივი ფიზიონომიაც დაჰკარგა. მე ვამბობ თავად-აზნაურობის იმ ნაწილზე, რომელსაც ჯერ თავისი წოდებრივი ფიზიონომია არ დაუკარგავს, ებღაუჭება მას და დიდს ნაციონალურ ფაქტორადაც ჰსურს გამოაცხადოს. ესეთი თავად-აზნაურობა და მათი იდეოლოგი ტფილისელ—მაჩაბელთ ეროვნულის თვალსაზრისით არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ.

მაგრამ იქნება დეპუტატთა საკრებულო, როგორც იურიდიული ინსტიტუტი, წარმოადგენს რაიმე ღირებულებას? ვერც ამაზე დავეთანხმებით, რადგანაც დეპუტატთა საკრებულო სწორედ ამნაირ თავად-აზნაურობის სახურავია. დეპუტატთა საკრებულო რაიმე მნიშვნელობის ილიუზიას ჰქმნის მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს მის განკარგულებაშია ბანკის მოგება. სწორედ ეს გარემოება ჰბადავს იმნაირ აზროვნებას, რომ დეპუტატთა საკრებულოა ის დაწესებულება, რომელსაც ეროვნულ ცხოვრების სადავე ხელში უნდა ეჭიროს და აძლიოს მიმართულება და დირექტივები ეროვნულ ცხოვრების მიმდინარეობასა და მოწესრიგებას. ბევრი რამ შეიძლებოდა თქმულიყო ამ აზრების დასარღვევად, მაგრამ სჯობს, ჯერ-ჯერობით, თავი დავანებოთ ამას. თავის დროზე თვით ცხოვრება დაამტკიცებს, რამდენად გულ-უბრყვილონი არიან ისინი, ვინც ასე უყურებს დეპუტატთა საკრებულოს და მის დანიშნულებას.

მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტადა რჩება: არსებობს დეპუტატთა საკრებულო, რომელიც ბანკის მოგებას ანაწილებს. მაშასადამე, სრულიად უმნიშვნელო არ უნდა იყოს, რანაირად და როგორ ნაწილდება ეს ქონება. აი, აქ შეიძლება ოპოზიციის დაბადება. მაგრამ სად არის იგი? დღემდის გვარწმუნებდნენ „ზაკ. რეჩ“-ი და „თემი“ ოპოზიცია არისო. „თემმა“ პირდაპირ გვისაყვედურა, „სახალხო გაზეთი“ გარეშე მაყურებელსავით შესცქერის ატეხილს დავას და ამით ოპოზიციას ხელს უშლისო. ეხლა კი გვიკიჟინებს, მე მესამე პირი ვარ, ე. ი. არავითარი ოპოზიცია არ მინდა შევადგინო, მაგრამ „სახალხო გაზეთი“ მაინცა სტყუისო. ესეთი არევ-დარევა აზრებისა მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ „თემს“ ვერავითარ ოპოზიციის შედგენა ვერ შეუძლიან. მისი პოზიცია უნიადაგოა; იქნება „ზაკ. რეჩ“-ს შეუძლიან ოპოზიციად გადაქცევა. ესეც შეუძლებელი საქმეა. ჯგუფი, რომელსაც უხეირო რუსულ გაზეთის გამოცემა ეროვნულ საქმედ მიაჩნია, გაზეთი, რომელშიაც თავი მოუყრია ყოველ ჯურისა და რწმენის ხალხს, როგორ შეუძლიან იდეიური ოპოზიცია შექმნას? ოპოზიცია ნიახური არ არის, რომ დასთესო და ამოვიდეს. იგი უნდა რწმენამ, პრინციპმა დაჰბადოს. „ზაკ. რეჩ“-ს რომ იდეიური ოპოზიციონერობა შესძლებოდა, საქმე უნდა თავისი გაუქმებით დაეწყო. მას უნდა შეემუშავებინა სწორედ ის „უკომპრომისო აზროვნება“, რომელზედაც წინა წერილში ვსწერდი, სახელმძღვანელოდ გაეხადა იგი აზროვნება და ისე გამოსულიყო სამოქმედოდ. მაგრამ „ზაკ. რეჩ“-ის ჯგუფს რომ ასეთი „უკომპრომისო აზროვნების“ შემუშავება შესძლებოდა, აღარც „ზაკ. რეჩ“-ს დაარსებდა და აღარც ის იქნებოდა, რაც არის. ამიტომ „ზაკ. რეჩ“-ი ვერავითარ ოპოზიციას ვერ შეჰქმნის. მისი ოპოზიცია მხოლოდ კერძო გაბოროტებულ პირთა კერძო ბოღმის ტრიალი იქნება. ასეც არის. აი, რამდენი ხანია პოლემიკაა ატეხილი, და ჯერ არც „თემში“ და არც „ზაკ. რეჩ“-ში სიტყვაც არ დაძრულა პროგრამაზე, არავინ ცდილა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაეტარებინა დეპუტატთა საკრებულოს მოქმედება და ფაქტებით, კონკრეტულად დაესახელებინა რა არ მოსწონთ ამ მოქმედებაში და რა მოსწონთ. სამაგიეროდ ერთმანეთის ლანძღვა-თრევა, ესაფუძვლო დამცირება კი მრავალია. რა ფასი უნდა ჰქონდეს ასეთს „ოპოზიციონერებას“? სრულიად არავითარი; სირცხვილიცაა პრესამ სერიოზული ანგარიში გაუწიოს ამ გვარ გზაკვალ აბნეულ „ოპოზიციონერებს“.

მაშ, სად არის ოპოზიცია? არსად. ამიტომ ჩვენც მეტად მიგვაჩნია ამ თემაზე კამათის გაგრძელება. თუ ოპოზიცია დაიბადა ჩვენც გვეცოდინება მისი ფიზიონომია, დავინახავთ, რას თხოულობს იგი და ჩვენც ჩვენებურად დავაფასებთ. ჯერ-ჯერობით კი არავითარი ოპოზიცია არ არსებობს. ყველაფერი კერძო პირთა გაბოროტებაზეა დამყარებული, და ასეთს პირობებში ქართული გაზეთი ღმერთმა დაიხსნას პოლემიკისაგან.

**არ. ჯ—შვილი**

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჩვენი „მოკეთე“ „ზატერიანი“ კვლავ ეხება კავკასიას. ამ ჟამად მისთვის მასალა მიუცია რუსეთ-იტალიის ომზე გავრცელებულ ხმებს. იგი ითვალისწინებს ოსმალეთის ჯარის რაოდენობას ჩვენს საზღვართან, მის ძალას და ბოლოს ამბობს:

ოსმალებს იმედი აქვთ კავკასიელ მაჰმადიანთა არა მარტო თანაგრძნობისა, არამედ აქტიურ დახმარებისაც. რამდენად გამართლდება მათი იმედი დღეს-დღეობით ვერას ვიტყვით. რაც შეეხება, სომხებსა და ქართველებს, პირველნი, როგორც დაუძინებელნი მტერნი ოსმალთა, მათ არა დროს არ დაუჭერენ მხარს, რადგანაც ძლიერ კარგადა ჰგრძნობენ, რომ მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ შეუძლიანთ ეკონომიურად განვითარება. რაც შეეხება ქართველებს, წმინდა ქართველები (ქართლელები და კახელები) ზარმაცი ხალხია, ხოლო სხვა ქართველთა მოდგმანი (გურულები, იმერლები და სხვ.) ადვილად დაიჯერებენ ოსმალეთის „პროგრესისტების“ დაპირებას და მათ მხარს დაიჭერენ,

ჩვენი უებრო „კეთილ-მოყვარის“ აზრით, რუსები სრულიად გულდამშვიდებით არიან, რადგანაც ღრმად სწამთ, რომ რუსეთის დასაცავად მთელი ერი ისე დადგება ფეხზე, როგორც ერთი კაცი.

„ზატერიანი“ კავკაზიის დაწყნარებას ეხება და ათასნაირ ჰორებს სთხზავს, რათა დაამტკიცოს, რომ კავკასიაში კვლავ ამოხება მძვინვარეზსო.

ტფილისში სპეციალისტი ყუმბარის დამმზადებელნი არიან, რომელიღაც ქართველ ამხანაგთან ერთად ყუმბარებს ამზადებდნენ. ეს ამბავი მთავრობის ყურამდის მივიდა. მეყუმბარენი საჩქაროდ მოედვნენ ბათუმს, ტფილისს, ერევანსა და ბაქოს. რკინის გზის ჟანდარმებმა შეიპყრეს მრავალი პირი, რომელნიც იარაღსა ჰგზავნიდნენ...

შემდეგ „ზატერიანი“ ჩვენს სასწავლებლებს ეხება. იგონებს ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში მომხდარ ამბავს და მას თავისებურ ელფერს აძლევს; „ზატერიანს“ აღმოუჩენია თურმე, რომ ქუთაისის ქალთა ეპარხიალურ სასწავლებელში გამართულ დილაზე „საფედერალისტოა“ პროკლამაციები დააბნიეს, რომელშიაც მოსწავლე ქალებს სამშობლო ენის უცოდინარობასა და „ეროვნული გრძნობის დაკნინებას სდებენ ბრალადო.

თავი ისახელეს ტფილისის მართლმადიდებელ სემინარიის ქართველ მოსწავლეთაც, გაფიცვა გამოაცხადეს; მათ რა თქმა უნდა, რუსები და ბერძნები, როგორც უფრო გონიერი ხალხი, არ მიემხრნენ.

# სახელმწიფო სათათბირო

**დეპეშები**

**როძიანკო თავმ დომარეობდა.**

მომხსენებელმა კოვალევსკიმ საბოლოო სიტყვა უნდა წარმოსთქვას.

**კოვალევსკი.** ყველა განყენებულად მსჯელობდა და პირდაპირ ხარჯთ-აღრიცხვის თაობაზე არავის ულაპარაკნია. ყველა ერთხმად მოითხოვდა საეკლესიო კრების მოწვევას. მომხსენებელს ეს საკითხი დიდ ყურადღების ღირსად მიაჩნია. იმედი მაქვს, პირველ კრებას მეორე მოჰყვება, მეორეს მესამე და ბოლოს სრულიად აღმოსავლეთის საეკლესიო კრება მოხდება და გაანთავისუფლებს „სტაროობრიადცებს“ დადებულ ფიცისაგანა. მომხსენებელი კომისიას ეთანხმება, მაგრამ ფორმულის მცირეოდენ შეცვლას მოითხოვს.

**სინოდის ობერ-პროკურორი.** აქ სმეტის თაობაზე ძალიან ცოტას ლაპარაკობდნენ, მხოლოდ ობერ-პროკურორისა და სამღვდელოების ლანძღვას და გმობას მოჰყვნენო. რაც შეეხება ობერ-პროკურორის მოღვაწეობას, იგი პასუხს აგებს ღვთისა და ხელმწიფის წინაშე და არა ზოგიერთ დეპუტატებისა, რომელნიც უსაფუძვლოდ მოსთხოვენ პასუხისმგებლობას. ეკლესიას თავის დღეში არ უნდა სჩაგრავდეს საკანონმდებლო დაწესებულებათ, იგი თავისუფალი უნდა იყვეს. რუსეთის ეკლესიას და სამღვდელოებას ვერც კლერაკალიზმს დავწამებთ. ეკლესიას სადაც შორს არა ჰყავს მეთაური, იგი ერთი-ისთ ქრისტე. ეკლესიას თავის დღეში არ მოუწადინებია საერო საქმეში გარევა. ობერ-პროკურორს მტკიცედა სწამს მომავალი რუსეთის ეკლესიისა. სიტყვის დასაწყისში ობერ-პროკურორმა უპასუხა იმათ, ვინც ამბობდნენ, სათათბიროში მღვდლებს ეშინიანთ თავისუფლად აზრის გამოთქმისაო, აგენტები ადევნებენ თვალყურსაო.

**უვაროვი** თავის წინანდელს აზრს იცავს, მოლაპარაკეს უკვირს ობერ-პროკურორის საქმე: მან მადლობა გადაუხადა ზოგიერთ დეპუტატს რჩევის მიცემისთვის. ხალხის წარმომადგენლებმა მთავრობას რჩევა უნდა მისცენ სათათბიროს სხდომებზე და არა ცალკე კაბინეთში. სათათბიროს წევრნი შუამავალნი კი არა, ხალხის წარმომადგენელნი არიანო (ტაში მემარცხენეთა).

**მამა სენდერკომ** ობერ-პროკურორს მადლობა გამოუცხადა იმ აზრის გამოთქმისათვის, რომ სამღვდელოება დამოუკიდებელი უნდა იყვესო. შემდეგ მოლაპარაკემ საეპარქიო კრებათა უფლების გაფართოება მოითხოვა.

გადასწყვიტეს ხარჯთ-აღრიცხვის ცალკე ნაწილთა განხილვა. უკამათოდ მიიღეს კრედიტები. კამათი ასტყდა 1.550,000 მან. გამო, რომელიც სამრევლო სკოლათა შესანახავად გადადებულ ფულს უნდა მიმატებოდა.

113 ხმით 79 წინააღმდეგ სათათბირომ შეიწყნარა ამ კრედიტის გადება.

შემდეგ უკამათოდ მიიღეს ხარჯთ-აღრიცხვის ყველა ნაწილი.

ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გაათავეს. კამათია მხოლოდ მისაღებ ფორმულის თაობაზე კამათში მონაწილეობდნენ: შებკოვი, კლიჩკოვი, მღვდ. გუბილინი და სენდერკო, ობერ-პროკურორი, კუჩინსკი, კროპოტოვი, ალექსანდროვი, თ-დი გოლიცინი, ტიჩინინი, ერმოლაევი, ამოსენკი, ტიმოშკინი, ბაზილევიჩი და მომხსენებელი კოვალევსკი. მიიღეს ფორმულა, სადაც სასურველად არის აღიარებული საეკლესიო კრების მოწვევისა; გარდა ამისა ფორმულაში ნათქვამია: საჭიროა ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების ქონებრივ უზრუნველ საყოფად მთავრობამ გეგმა შეიმუშაოს, შეიმუშაოს აგრეთვე პროექტი ეკლესიათა ცეცხლისაგან დაზღვევისა. საჭიროა სასულიერო დაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთათვის ახალი წესდება შეიმუშავდეს; ხოლო „სტაროობრიადცებს“ წართმეული ხატები დაუბრუნდეთო და სხვა.

სათათბირო შეუდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

**მომხსენებელმა გოლიცინმა** აღნიშნა, ხარჯთ-აღრიცხვა 99 მილიონად არის ნაანგარიშევი, რაიც აღემატება 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვას 960,000 მან. საბიუჯეტო კომისიას თითქმის არაფერი შეუცვლია. ეს იმისი ბრალია, რომ 85 მილიონი ნაანგარიშევია კანონებისა და უმაღლეს ბრძანების მიხედვით, მხოლოდ დანარჩენ 14 მილიონის თაობაზე შეგვიძლიან ვიმსჯელოთო. მომხსენებელმა სთქვა, კომისიამ ქალაქების უმწეო მდგომარეობას მაიქცია ყურადღება და მოითხოვა: მთავრობას დაევალოს იზრუნოს მათთვის, საქმე მოაგვაროს და სასანიტარო საქმეში ფულით დაეხმაროს ხოლმე.

**ბულატი.** თვალი რო გადაავლოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარსულ მოღვაწეობას, შევამჩნევთ სასტიკ პოლიციურს რეჟიმს, რაიც სჩაგრავდა ყოველსავე პიროვნებას და მძიმე ტვირთად აწვებოდა გლეხობასა და მუშებს. ამის გამო, „შრომის ჯგუფელნი“, წინანდებურად, ხარჯთაღრიცხვის წინააღმდეგ მისცემენ ხმას. ამასთანავე, შრომის ჯგუფელნი“ აღნიშნავენ: მესამე სათათბირომ პასუხი უნდა აგოს იმ უბედურებათა გამო, რომელიც სამინისტრომ კულტურასა, განათლებასა და ქვეყნის თვითმოქმედებას მიაყენაო.

წაიკითხეს სასწრაფო შეკითხვა განათლების მინისტრისადმი. იგი შეეხება ვილნის გუბერნიის მეექვსე რაიონის სახალხო სკოლათა ინსპექტორის უკანონო განკარგულებას. წინააღმდეგ 17 აპრილის ბრძანებისა, ინსპექტორს ბრძანება გაუცია, კათოლიკეებს სამღრთო სჯული რუსულად ასწავლეთო. გარდა ამისა, იგი ემყარება განათლების მინისტრის მიერ 18 ოქტომბერს გამოცემულ განკარგულებას, რომელიც სახალხო სკოლათა უფროსებს ევალებათ სამინისტროს ყოველნაირ განკარგულებათა მტკიცედ ასრულება, მაგრამ სამღრთო სჯულის სწავლების ენის შესახებ არაფერია ნათქვამი.

სწრაფად განხილვის მომხრენი არიან **ქნეზში მაცეევიჩი, გარუსევიჩი და ფონ-ანრეპი,** წინააღმდეგია **ტიჩინინი, გრაფი ბობრინსკი და ვერაქსინი.**

სწრაფად განხილვის საჭიროება აღიარეს 896 ხმით 87 წინააღმდეგ.

მემარჯვენეები და ნაციონალისტები დარბაზიდან გავიდნენ. წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებობის გამო, საკითხი სამშაბათის სხდომისათვის გადასდეს.

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ სახელმწიფო სათათბიროს საფინანსო კომისიას განუხილავს ამიერ-კავკასიის საერობო ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი და დაუდგენია: საერობო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს ნამესტნიკის საბჭო ვალდებულია მოიწვიოს თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლები, ქალაქის თავები, ნავთისა და შავი ქვის მრეწველთა საბჭოების, საბირჟო კომიტეტისა და კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელნი და ადგილობრივ მცხოვრებლებთა წარმომადგენელნი, ნამესტნიკის მიერ დანიშნულნი. საერობო ხარჯთ-აღრიცხვასთან ერთად ნამესტნიკმა ყველა აღნიშნულ პირთა აზრიც უნდა წარმოადგინოს. ეს წესი ერობის შემოღებამდის უნდა იქმნეს ძალაში.

✦ **ხორცისა და პურის ვაჭრობის საქმის** მოსაწესრიგებლად 16 მარტს გუბერნატორი საგანგებო კრებას იწვევს. კრებაზე მიწვეულ იქმნებიან ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის წევრნიც.

✦ **ვ. ნ. ჩირქეზიშვილის სახელობის სკოლის შენობა,** რომელსაც ქალაქის თვითმმართველობა აგებს, წინასწარ ხარჯთ-აღრიცხვით 80,000 მან. დაჯდება. სკოლაში 11 კლასი იქნება.

✦ **ხმოსანთა ახალი ჯგუფი.** ქალაქის საბჭოს ხმოსანთა რიცხვს ოცს კაცამდე გამოეყო და ცალკე პარტია შეადგინა, რომელსაც აზრად აქვს, ქალაქის განაპირა უბნების მცხოვრებთა ინტერესები დაიცვას. ჯგუფს რამდენიმე კრება ჰქონდა და თავის მომავალ მუშაობის გეგმა შეიმუშავა. სხვათა შორის დაადგინა, ყოველ კვირაობით კრებები დანიშნოს იმ საკითხების წინასწარ განსახილველად, რომელნიც ქალაქის საბჭოს უნდა წარედგინოს.

✦ სერგიევის ქუჩის მოკირწყვლას ქალაქის გამგეობა ნაალდგომევს შეუდგება. მუშაობის შესრულება მინდობილი აქვს ს. მირზოევს, რომელმაც საზღვარ-გარეთიდან უკვე მიიღო საჭირო მასალა.

✦ **რეფერატი.** 17 მარტს საზოგადო კლუბში ქ-ნი მ. ი. ჩხეიძე წაიკითხავს რეფერატს შემდეგს თემაზე: „მოქალაქობრივი მდგომარეობა ქალისა დასავლეთსა და ჩვენში“.

✦ ქალაქის საბჭოს ხმოსნებს 18 მარტს კერძო თათბირი ექმნებათ ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზე, კანდიდატის დასასახელებლად.

✦ **საპოლიტეხნიკო კურსების** დამაარსებელებმა საგანგებო კომისია აირჩიეს და დაავალეს, შეიმუშავოს კურსების წესდების საბოლოო პროექტი და დასამტკიცებლად წარადგინოს. კურსებს ერთდროულად 15,600 მან. მოუნდება ხოლო ყოველწლიურად—36,480 მან.

✦ რუსულ ჟურნალ „**ვეს მირში**“ დაბეჭდილია თარგმანი **ე. ნინოშვილის** მოთხრობისა—„განკარგულება“.

✦ **ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარედ** ქალაქის საბჭომ კვლავ მ. ა. სულიევი აირჩია. ჯამაგირად წელიწადში 2,000 მან. დაუნიშნა.

✦ **გადასახადი ავტომობილებზე.** ქალაქის საბჭომ დაავალა საიურიდიო კომისიას, გამოარკვიოს: ფრანგთა საზოგადოების ავტომობილებს უნდა დაედოთ გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ, თუ არა.

✦ **ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისია** დღეს განიხილავს ქალაქის მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის ბალანსს.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრად კვლავ თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი აირჩიეს.** მიიღო 41 თეთრი და 16 შავი კენჭი.

**ქალაქის გამგეობის წევრმა ნ. პ. ქოქჩაევმა** ავადმყოფობის გამო სამსახურს თავი დაანება. ეს ამბავი გუშინ ქალაქის მოურავმა გუბერნატორს აცნობა.

✦ **რედაქციამ მიიღო** სომხური წიგნები: კარენ მიქაელიანის „**ზამთრის საღამო**“ და „დანაკლისთა გრძნობანი“. ორივე წიგნში მოთავსებულია ამ ავტორის სხვა და სხვა მოთხრობები. პირველი წიგნი ღირს 50 კ., ხოლო მეორე კი 60 კ.

✦ თორმეტ მარტს კარუსელნი დაღმართზე ჩვრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს, მდედრობითის სქესისა, დაახლოვებით ორის კვირისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

✦ თორმეტ მარტს ტფილისში 44 უპასპორტო შეიპყრეს.

**საზოგადოებანი და კრებები**

✦ **ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისიის** კრება 16 მარტს მოხდება. განიხილავს საკითხს საჰიდრავლიკო სადგურის შესახებ.

✦ **ხელოსანთა თათბირი.** ამ დღეებში ხელოსანთ კერძო თათბირი ჰქონდათ ახალ სახელოსნო სკოლის შენობის აგების თაობაზე. ხელოსნებმა სურვილი გამოსთქვეს, გაილონ ფული შენობის ასაგებად. ამასთანავე დაადგინეს, იშუამდგომლონ, რომ ახალი სასწავლებელი შიოევის სახელობის სახელოსნო სასწავლებელთან გაა[illegible].

✦ **ტფ. ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობის** [illegible] 11 მარტს მოხდა ქალაქის საბჭოს დარბაზში ბ. ა. აკოფოვის თავმჯდომარეობით. კრებამ დაამტკიცა 1911 წლის ანგარიში, საიდანაც, სხვათა შორის, სჩანს, რომ ამხანაგობას საკუთარი თანხა ჰქონია 5,395 მან. და მოგება დარჩენია 676 მან. 68 კაპ. დამტკიცებულ იქმნა 1912 წ. ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 1,000 მან. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: მ. ს. მელენჩუსი, ფ. კარუნოვი, გ. ა. გუმარიტოვი და ს. სააკოვი. მათ კანდიდატებად. გ. ო. ქალანთაროვი და ი. ს. ბერძნიშვილი. საბჭოს წევრების კანდიდატებად: ბ. ა. აკოფოვი და ო. მ. სარქისოვი.

✦ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიას** დღეს კრება ექმნება.

**სასამართლო**

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** 1 მარტს ახალქალაქს გაემგზავრა სისხლის საქმეების გასარჩევად.

✦ **ოლქის სასამართლოს სესია,** რომელიც დუშეთს იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა.

**სასწავლებლებში**

✦ **„19 თებერვლის“ სასწავლებლები.** ნამესტნიკმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ „19 თებერვლის“ სასწავლებლები დაერქვას ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებს: მესამე ვერისას, მეორე კუკიისას და პირველ ავლაბრისასა.

# რედაქციისაგან.

გაზ. „ზაკავკაზიეს“-ში ბ-ნი მ. ვ. მაჩაბელი დამახინჯებულად გადასცემს მკითხველებს იმ ლაპარაკს, რომელიც მისსა და ჩვენი გაზეთის გამგის შორის მოხდა. 1) მ. ვ. მაჩაბელმა წერილი გამოგზავნა რედაქციაში შაბათს. წერილის მომტანმა განაცხადა, მ. ვ. გთხოვთ უცვლელად დაბეჭდოთ ეს შეკითხვაო. რედაქციაში უპასუხეს: მ. ვ. მაჩაბელის სურვილი მოვისმინეთ, დაიბეჭდება თუ არა, ამას ჩვენ თითონ შევატყობინებთო. რედაქციის გამგე არჩილ ჯაჯანაშვილი მაჩაბელს **არ დაჰპირებია,** წერილს დავბეჭდავო; 2) არჩილ ჯაჯანაშვილს წერილის უკან დაბრუნებაზე უარი არ უთქვამს, რაც იქიდანა სჩანს, რომ მ. ვ. მაჩაბელმა სწორედ ერთი საათის შემდეგ უკან ჩაიბარა თავისი წერილი. არჩილ ჯაჯანაშვილმა მხოლოდ უთხრა, ჯერ წერილს არ დავაბრუნებთ, რადგანაც **გადაწყვეტილი არ არის,** დაიბეჭდება თუ არა. 3. რადგან ჩემის აზრით წერილი არ უნდა დაიბეჭდოს, მაგრამ მაინც შევეკითხები სარედაქციო კოლეგიას, სხვათა შორის, არჩილ ჯორჯაძესაც, და მაშინ შეგატყობინებთ, დაიბეჭდება თუ არა. სხვანაირად არჩილ ჯაჯანაშვილი ვერც მოიქცეოდა, რადგანაც რედაქციის გამგეს **უფლება** არა აქვს თავისი **ნებით** გადასწყვიტოს ეს საკითხები. ასეა ყველგან, სადაც გაზეთს კერძო პირისა არ არის. ასეა ჩვენთანაც.

3) არც აზრი აქვს და არცა გვსურვებია ბ-ნ მ. ვ. მაჩაბლის წერილით „სარგებლობა“, რადგანაც, ჯერ ერთი იგი მხოლოდ უბრალო „ღია წერილია“ და ღია წერილით კი რა სარგებლობა შეუძლიან რედაქციას? მეორეც, ამისათვის რედაქციის წერილის „ექსპროპრიაცია“ არ დასჭირდებოდა, რადგანაც შაბათს მოტანილ წერილით სარგებლობას ორშაბათამდე მოახერხებდა, რომ სურვილი ჰქონოდა.

მაშასადამე, მ. ვ. მაჩაბელი დამახინჯებულად გადასცემს ცნობებს და თუ ამის ნებას თავის თავს მ. ვ. მაჩაბელი აძლევს, „ზაკავკაზიე“-ს რედაქციამ მაინც არ უნდა ჩაიდინოს ასეთი რამ.

რაიცა შეეხება იმ მოტივებს, რომელთა ძალითაც რედაქციამ შეუძლებლად სცნო მ. ვ. მაჩაბლის წერილის დაბეჭვდა, ეს რედაქციის გამგის წერილიდან კარგად მოეხსენება როგორც მ. ვ. მაჩაბელს, ისე „ზაკავკაზიე“-ს რედაქციასა და მკითხველებს.

**რედაქცია.**

# მოწოდება

**ქართველ საზოგადოებისადმი.**

ჩვენ საზოგადოებას უკვე ეუწყა რომ განზრახულია ჩვენი დიდებული მწერლის **ილია ჭავჭავაძის თხზულებათა** განსაკუთრებული გამოცემა. ყველა ქართველს ესმის რა ად-

გილი უჭირამს დიდებულ და დაუვიწყარ ილიას ჩვენს ეროვნულ კულტურის განვითარებაში: არ მოიპოვება არც ერთი დარგი ამ კულტურისა, არ არსებობს თითქმის არც ერთი საზოგადოებრივი დაწესებულება, სადაც არ ემჩნეოდეს ილიას გავლენა, არ გამობრჭყვინავდეს მისი გენია, მისი კურთხეული ნიჭი. ვით ზღაპრული ბუმბერაზი იგი სწორედ რომ მეფობს ორმოცდა ათის წლის განმავლობაში, ჩვენ ეროვნულ კულტურულ შეგნება განვითარებაში, მეფობს ჩვენი ინტელიგენციის აზროვნებაში. რა მიმართულებისაც უნდა იყოს მომავალი ისტორიკოსი, რომელიც კი შეეხება მე-19 საუკ. მეორე ნახევრის ისტორიას, გაშტერდება, როდესაც თვალწინ წარმოუდგება მთელის თავის ნიჭით, გავლენით და მნიშვნელობით ის, ვინც შეჰქმნა ჩვენ ისტორიაში მთელი ხანა. ერის ცხოვრებაში იბადებიან ისეთი გმირები, რომლის სახელის ხსენებაზე ყველას, ვისაც კი სამშობლო და მისი კულტურული აყვავება რაიმედ მიაჩნია, გული უძგერს და ქედს იხრის. გვიახლოვდება მგოსნის დაბადების დღიდან 75 წლ. შესრულება და მისი ძეგლის კურთხევა. საჭიროა ზედვე მოჰყვეს მისი უკვდავი ნაწარმოების ღირსეული ძეგლი, მათი შესაფერი გამოცემა.

**წ. კ. გ. ს. ნება დართო ექიმ მიხ. გედევანიშვილს** გამოსცეს ეს თხზულებანი შესაფერის სახით და ღირსებით. თვით გამომცემელს საქმის დაწყებისთანავე მიზნად მარტოდ მარტო ეროვნულ კულტურული ინტერესი ჰქონდა, რის გამოც მან საჭიროდ სცნო გამომცემლობისთვის საზოგადოებრივი ხასიათი მიეცა და ამ მოსაზრებით მოიწვია განსაკუთრებული სარედაქციო კომისია.

კომისიამ ითათბირა ამ გამოცემის შესახებ, სავსებით მიემხრო გამომცემლის აზრს, რომ გამოცემას მარტო კულტურული ხასიათი ჰქონდეს. კომისიამ გაითვალისწინა საქმის სირთულე და სიძნელე, აგრეთვე წიგნებისა და გასაღების მოუწყობლობა ჩვენში და, იგი მაინც და მაინც იმ აზრს დაადგა, რომ ყოველგვარი ღონე და საშუალება იხმაროს და გამოცემა ღირსეული და შესაფერი იქნას. ჯერ ჯერობით გამოიცემა მხოლოდ ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოებნი, გარდა თარგმანებისა, სურათებით, განსაკუთრებულ ქაღალდზე, ყდით. წიგნი ერთ ტომად გამოვა, ვინაიდან ზომითაც და ღირსებითაც უფრო თვალსაჩინო და შნოიანი იქნება და ფასითაც ნაკლები დაჯდება. შიგ ჩაერთობა ბიოგრაფია და მისი ნაწარმოების კრიტიკული განხილვა. რაც შეეხება ფასს, კომისია იმ აზრს დაადგა რომ დაცულ იყოს ერთის მხრივ გამოცემის ღირსება და მეორეს მხრივ იგი რაც შეიძლება ნაკლებ და ხელ მისაწვდომ ფასით დაეთმოს ხელის მომწერთ.

კომისიამ იქონია მხედველობაში ყოველგვარ მასალის ღირსებულობა, ითათბირა შესახებ ილუსტრაციებისა და ერთობ წიგნის გარეგნობისა, გაითვალისწინა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ მასალის შეძენა და საქმის აღსრულება ადგილობრივ შეუძლებელია და გადასწყვიტა წიგნი მიეწოდოს ხელის მომწერთ 8 მან., რაფასიც კომისიის აზრით ზომიერია. კომისია იმედოვნებს რომ გამოცემა დასრულდება და წიგნი დარიგდება 1913 წლ. განმავლობაში.

კომისია არა ჰმალავს, რომ ამ გვარ გამოცემას დიდი შრომა და უნარი სჭირია, მაგრამ ამასთანავე იმედოვნებს, რომ ჩვენი საზოგადოება მხურვალე თანაგრძნობით მიეგებება დიად მნიშვნელოვან საქმეს. რადგანაც განზრახულია არა მარტო უკვე დაბეჭდილი არამედ დაუბეჭდავ ნაწარმოებების, აგრეთვე ბიოგრაფიის მოქცევა ხსენებულ წიგნში და აგრეთვე განზრახულია შემდეგ ილიას დანარჩენ ნაწარმოებთა გამოცემა, სადაც მოთავსებული იქნება სხვათა შორის ნაწარმოებების ვარიანტები.

კომისია მიჰმართავს ყველას, ვისაც კი რაიმე შესაფერი მასალა, მაგ. ილიას ნაწერები, წერილები, საბიოგრაფიო ცნობები, სურათები ნაწარმოებების ვარიანტები და სხვა, მოეპოვება მიაწოდოს გამომცემელს არა უგვიანეს ამა წლის ნოემბრის პირველამდე, ვინაიდგან შემდეგ გამოგზავნილით ველარ ისარგებლებენ.

ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც ეს მოწოდება გადაბეჭდონ.

კომისიის წევრნი: **მიხ. გედევანიშვილი, კიტა აბაშიძე, ივ. გომართელი ივ. ზურაბიშვილი, გრ. ყიფშიძე, იაკ. ფანცხავა, ი. გედევანიშვილი.**

## სალიტერატურო საღამო

ქართულ თეატრში შაბათს, 10 მარტს, გაიმართა სალიტერატურო საღამო. საღამო შინაარსიანი გამოდგა. წაიკითხეს თავისი ნაწარმოებნი: ი. გომართელმა, ახოსპირელმა, გ. ამირეჯიბმა, აბაშელმა, ქუჩიშვილმა, ბებიაშვილმა და კ. ჯაფარიძემ ქართული თარგმანი მ. გორკის „Буревѣстникъ“-ისა. ხალხი დიდად ასიამოვნა და აცინა თავის მკვეთრისა და მოხდენილის სატირით ბ-ნმა ირეთელმა. სამწუხაროდ, ბ-ნ ირეთელს არ შესწევს უნარი ჯეროვანად წაკითხვისა, თორე სატირა მეტს შთაბეჭდილებას მოახდენდა.

საინტერესო გამოდგა აგრეთვე ლექცია ბ-ნ ალ. წერეთლისა: „ახალგაზდა პოეტი ნოე ჩხიკვაძე“. ლექტორმა უფრო საზოგადოდ ახალგაზდა პოეტების თაობაზე ილაპარაკა.

დასაწყისში ლექტორმა აღნიშნა: ბევრი წუწუნებს და მოსთქვამს ქართულ ლიტერატურის დაკნინებას, დაცემასაო. მაგრამ საქმე არც ისე ცუდად არის, როგორადაც ეჩვენებათ. გამოვიდნენ ზოგიერთი ახალგაზდანი, რომელნიც დიდს იმედს იძლევიან და მომავალშიაც გამოჩენილ ადგილს დაიჭერენ ქართულ ლიტერატურაში. ჩვენი ახალგაზდა პოეტნი თუმცა ეხლა მრავალ არიან, მაგრამ არა უშავს რა: ბოლოს ყველა თავისას მოსძებნის, მღვრიე დაიწმინდება და ზოგიერთნი, მართლადაც ნიჭიერნი და ღირსეულნი დარჩებიან ლიტერატურაშიო.

შემდეგ ამისა ლექტორი შეეცადა გაეცნო საზოგადოებისათვის თავისი აზრი და შეხედულება პოეზიაზე. ამ საკითხს ძველადვე მიაქციეს ყურადღება და სცდილობდნენ გამოერკვიათ საგანი და დანიშნულება პოეზიისა. არსებობს მრავალი თეორია პოეზიისა. ერთნი თავის მამამთავრად ძველს ფილოსოფოსს არისტოტელს სთვლიან და რეალისტებს უწოდებენ თავსა. არისტოტელის აზრით, პოეტმა უნდა დაგვიხატოს სინამდვილე. მაგრამ მარტო სინამდვილით არ განისაზღვრება პოეზიის ფარგალი. პოეტმა უნდა დაგვიხატოს არა მარტო ის, რაც არსებობს, არამედ რაც შეიძლება იყოს. რეალისტები მოითხოვენ პოეტისაგან სინამდვილეს, უნაკლო სურათსა და ობიექტის დახატვასა. მაგრამ პოეტი მარტოოდენ სინამდვილის მხატვარი არ გახლავთ. იგი თვით წარმოადგენს ერთს მთლიანს ბუნებას, საინტერესო ინდივიდუალობას, ამიტომ გვეინტერესება პოეტის სულისკვეთება, ტანჯვა და ვაება, რადგან ვუნდტის თქმისა არ იყვეს, ადამიანის შინაარსს სული შეადგენს, შემოქმედების ძალა, მაინც მისკენაა მიმართული.

შემდეგ ლექტორი კერძოდ ქართველ ახალგაზდა პოეტებს შეეხო. მწვავეა და უნუგეშო მათი ცხოვრება. უმრავლესობა სრულიად მოკლებულია საარსებო სახსარს და სიღარიბე სჯაბნის. გარდა ამისა, უმრავლესობა ჩვენის პოეტებისა გაუნათლებელია. ბევრს არც კი უნახავს სკოლის კარები. და რათ უნდა იყვეს საკვირველი, თუ მთლიან სურათის დახატვას ვერ შესძლებენ ხოლმე, თუ მკაფიოდ ვერ წარმოგვიდგენენ სულისკვეთებას, ნათლად ვერ დაგვიხატვენ თვის ნაწარმოებთა საგანს. ან კი როგორ უნდა დაგვიხატონ ნათლად რაიმე საგანი, როდესაც თვით ვერ წარმოუდგენიათ იგი და სხვა და სხვა ლექსებში ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებს გამოსთქვამენ, ისიც ბუნდოვნად. ამას გარდა, შთაბეჭდილების მთლიანობას ხელს უშლის ერთი ნაკლი: სრულიად მოულოდნელი და უადგილო შედარებანი. ეს ნაკლი ემჩნევა თითქმის ყველა ახალგაზდა პოეტს, გარდა ალ. შანშიაშვილისა. მაგრამ გაუნათლებლობა ჩვენს პოეტებს ხელს არ უშლის ზოგჯერ ისეთი გულწრფელი და გრძნობიარე ლექსი დასწერონ, როგორიც, მაგალითად არის „ჩემო ვარსკვლაო“ ს. ფაშალიშვილისა.

ახალგაზდა პოეტი ნოე ჩხიკვაძე დიდი ხანი არ არის, რაც სამწერლო ასპარეზე გამოსულა. ჩხიკვაძეს ცოტა დაუწერია, მაგრამ ისიც ჰმოწმობს უტყუარ ნიჭს პოეტისას. მაგრამ ფრთის გაშლას, განავარდებას ხელს უშლის ისევ განათლების უქონლობა, ცოდნის სისუსტე. ჩხიკვაძის ლექსები მაინც ყურადღების ღირსია. მგოსანი სცდილობს თავისი აზრი ცხოვრებაზე გვამცნოს, შეხედულება ადამიანის დანიშნულებაზე გაგვიზიაროს. ამ მხრივ, სხვათა შორის, საინტერესოა „სამი ეტლი“. საზოგადოდ, ჩხიკვაძეს ცხოვრება ცვალებადად მიაჩნია და ამბობს: ცხოვრებისავე კანონია, არსი მოძრაობდეს, ვითარდებოდესო.

ლექტორმა გაარჩია რამდენიმე ლექსი ბ-ნ ჩხიკვაძისა. დასასრულ ისურვა: ღმერთმა ჰქმნას, ჩვენს ახალგაზდა პოეტებს საზოგადოდ ცოდნის მიღება გაადვილებოდეთ, განვითარებით აღჭურვილიყვნენო. მშობლიურ ლიტერატურასაც მხოლოდ მაშინ დაამჩნევენ კვალს, დიდ სარგებლობას მხოლოდ მაშინ მოუტანენო.

ბ-ნ ალ. წერეთელს საგნის ცოდნა ეტყობოდა. გარდა ამისა, თუმცა საორატორო ნიჭი ძლიერი ვერა აქვს, მაგრამ მოკლედ, მკაფიოდ და ყველასათვის გასაგონად განმარტა ლექციის საგანი. რასაკვირველია, ნაკლიც ჰქონდა. უპირველესად ყოვლისა, ჩვენთვის მაინც გაუგებრად დარჩა მთავარი საგანი, მთავარი მოტივი ნოე ჩხიკვაძის პოეზიისა. თუმცა, მართალი მოგახსენოთ, ეს თვით პოეტის ნაკლებად ჩამოყალიბებას და გარკვეულ ინდივიდუალობის უქონლობას უნდა მიეწეროს. მაგრამ იყო მეორე მხარე, რისთვისაც მეტი ყურადღება უნდა მიექცია. ბ-ნმა ალ. წერეთელმა არ აღნიშნა (თუ აღნიშნა — ნაკლებად) გავლენა პოეტის შემოქმედებაზე გარეშე პირობებისა, გარშემო ცხოვრებისა დ მის სულისკვეთებას მეტის გულისხმიერებით მოეკცა.

არა უთქვამს-რა ბ-ნ ლექტორს იმის თაობაზე, თუ რამ გამოიწვია ჩვენს ლიტერატურაში განსაკუთრებით მარტოოდენ ლირიზმის გამეფება, გაძლიერება. როდესაც საზოგადოება უილაჯობას მოუცავს, ირგვლივ სიწყნარეა, არა სჩანს ასპარეზი ცხოვრებისა, ფართოდ ფრთის გაშლისა, ყველაფერი დაკნინებულა, დაქუცმაცებულა—ადამიანს ხალისი არა აქვს რაიმე დიდი და მთლიანი ნაწარმოები შეჰქმნას. იგი მაღლა ცას ეპოტინება და საყოველდღეო, ცხოვრების დავიწყებას ჰლამობს, თავს ინუგეშებს „წარსულთა დროთა მოგონებით“. მაშინ განვითარდება ხოლმე ლირიზმი. დღევანდელი დრო, სწორედ ლირიზმის და გულში დაბუდებულ გრძნობათა ანალიზის დროა; ყველა ეს არ აღუნიშნავს ბ-ნ წერეთელს. თუმცა მისი თვალით რო შევხედოთ საგანსა, მართალი იყო. ხომ წინადვე განაცხადა: ადამიანის ცხოვრება უფრო სულის შემოქმედებისაკენაა მიმართულიო!..

დამსწრე ხალხი, საზოგადოდ მადლიერი იყო საღამოსი. თუმცა, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა დაესწრო.

**რაჭველი.**

## ოზურგეთის ამ-ბარში

ოზურგეთის თვითმართველობამ 14 მარტს მიიწვია აქაური ვაჭრები და მთელი ქეთის მცხოვრებლები. თუმცა ავდარმა ხელი შეუშალა, მაგრამ მაინც საკმაო რიცხვი გამოცხადდა. ბ. ქალაქის თავმა გამოაცხადა, ქალაქს არა აქვს საკუთარი შენობა, რის გამოც კაი ძალ ფულს ვიხდით წლიურადო. ამის გამო საბჭომ დაადგინა, მივიღოთ ზომები და ავაგოთ ისეთი შენობა სადაც უნდა მოთავსდეს თვითმართველობა, თეატრი, სამკითხველო და ამბულატორია. ამისათვის საჭიროა დავადგინოთ განაჩენი, მოვკრიბოთ საჭირო თანხაო.

მთელმა საზოგადოებამ თანხმობა განაცხადა. აირჩიეს 23-მი კაცისაგან შემდგარი კომისია. ამათშორის უნდა ამოირჩიონ საამშენებლო კომიტეტი და დანარჩენებმაც უნდა გაუწიონ სათანადო დახმარება. საქმე ფრიად სიმპატიურია და ჩვენც ვუსურვებთ კეთილად დაგვირგვინებას.

**სი.**

## ხმა უდანაშაულოდ დევნილისა *

(წერილი რედაქციის მიმართ)

დასასრული *)

ეს საარაკო ამბავი მოგახსენეთ, როგორც **ერთ-ერთი ნიმუში** იმისი, თუ რა საშუალებასა ხმარობენ ჩემი მოწინააღმდეგენი ჩემთან საბრძოლველათ, რა სასაცილო „არგუმენტებზე“ ამყარებენ ჩემ წინააღმდეგ ბრალდებას...

მერე რათა? რისთვის? რას მერჩიან? ვის რა დავუშავე? რად უნდათ მაინც და მაინც ამომსვარონ ლაფში, წამართვან პატიოსანი სახელი?! ნუ თუ ცოტა ღვაწლი მიმიძღვის საქართველოს წინაშე, რომ პატივისცემით თუ არ მომეპყრობიან, არა მლანძღონ მაინცა?! ვსთქვათ (მხოლოდ ერთ წუთსა ვსთქვათ, წარმოვიდგინოთ, რომ ჩემნი მტერ-მოყვარენი მართალნი არიან ამ შემთხვევაში), რომ, **როგორც „ჩინოვნიკი“,** მე მოღალატე (?!) ვარ სამშობლოსი... ვსთქვათ, (თუ-კი ამის თქმითაც ენა არ გაუხმება მთქმელსა), რომ ეს ასეა... ნუ თუ ამ შემთხვევაშიაც ჩემი ურიცხვი შრომა, ქართულ ისტორიის და ენის კვლევისთვის დადებული, უფლებას არ უნდა მანიჭებდეს მეტი პატივით მოპყრობისას, ვიდრე ამას ჩემი ენა-აულაგმავი მტრები სჩადიან?! ნუ თუ ვიღაც პაწაწინა კაცუნია, რომელსაც ჩემი მეასედი და მეათასედიც არა გაუკეთებია-რა, მწერლობაში უნდა ჰბედავდეს, საქვეყნოდ გამობრძანდეს და სთქვას: „თედო ჟორდანიას ნაწერი სწორედ მისი შესაფერია, **რადგან** სიცრუით აღსავსეა“, „როგორა ბედავს თედო ჟორდანია საზოგადოებას კვლავ თავისი პირი აჩვენოსო“!! და თუ ერთგვარი „ინტელიგენტი“ კადრულობს ამ-გვარ ლაპარაკს, როგორ აბედვინებს ამას „ობიექტიური“ გაზეთი?!..

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 544, 517.

მაგრამ ვაი, რომ ჩვენში ყველა გულწრფელ მოღვაწის და მუშაკის ბედი დევნა და მხოლოდ დევნაა! ვაი, რომ ჩვენ მხოლოდ მკვდრების დაფასება ვიცით!!

მერე იცით-კი, ვისა ლანძღავთ ასეთის უშვერის სიტყვებითა? ვის უწოდებთ ცრუს და ქვეყნის გამყიდველსა?! იმ ადამიანს, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოსთვის შეუწირავს, **ურომლისოდაც თითქმის არა გაკეთებულა-რა უკანასკნელ დროებში ქართულ ენის სასარგებლოდ,** ვინც მარტო თავის ზურგზე გაიტანა უმეტესი ნაწილი ოფიციალური ბრძოლისა ქართულ ენის გულისათვის... მართლა ზოგიერთ ბულვარბაშივით არ მიყვირნია, ჩემის პირითვე არ მიმცვნია ქვეყნისათვის ჩემნი „საქმენი საგმირონია“, მაგრამ ამ ჩემის ნათქვამის დასამტკიცებლად ისეთი უტყუარი საბუთი მაქვს და სარწმუნო მოწამე მყავს, როგორიც არის **თვით საქმე,** ოფიციალური ქაღალდები, დანომრულ-დარიცხვული, არქივებში შენახულნი... ვგონებ, რომ ასეთს მოწმეს არ შეიძლება არ დავუჯეროთ, რომ **თუ მან დაილაპარაკა,** ფიცხლავ გაფრთხება გუნდი ჭორიკანათა, ვინც კი ჩემ წინააღმდეგს რასმე ამბობს და იტყვის...

და აი, როგორცა ვხედავ, დადგა დრო, რომ ეს მიუდგომელი მოწმე ავალაპარაკოთ, უტყუარი მასალა გამოვამზევოთ... აივსო მოთმინების ფიალა! კმარა თავწასხულობა, აულაგმაობა! გამობრძანდით, ვისაც რა გაქვთ ჩემს წინააღმდეგ სათქმელი და ბრძანეთ! რაცა გნებავთ, ისა სთქვით, ოღონდ მეც ჩემი მათქმევინეთ! გამოალაგეთ, რაც რამა გაქვთ! ყველანი ერთად შეიკრიბენით და ძოიტანეთ ჩემზე იერიში! ვნახოთ, გაგიმკლავდებით თუ არა ჩემის ერთად-ერთის იარაღით—**სიმართლით** და ციხე - დარბაზით—**პატიოსნებით!..**

მაშ ასე!

თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყვეს, მაგრამ ბრძოლა სპეტაკი, პატიოსანი! „პატიოსან მტერთა შორის სინიდისია მოციქულიო“ ამბობს ხალხური ანდაზა—და აი მეც გაძლევთ ხელში პატიოსან იარაღს ჩემთან საბრძოლველად!! აიღეთ ის ხელში, თუ-კი მრუდ გზაზე სიარულს დაჩვეულნი კიდე მოახერხებთ მის ხმარებას...

ახლა ბრძოლის მოედანზე. ბევრი ვიფიქრე, რა საშუალებას მივმართო მეთქი ჩემის პატიოსან სახელის დასაცავათ. ჯერ მინდოდა, პრესაში გამეჩაღებინა კამათი, მაგრამ ბოლოს იმ დასკვნამდე მიველ, რომ ეს გზა სავსებით ვერ გამოარკვევს საქმეს: ჯერ ერთი, იმდენი რამა მაქვს სათქმელი და დასაწერი, რომ ყველა ამას გაზეთში ვერ მოვათავსებდი და რომ მოვათავსო კიდეც, ჩემნი მოწინააღმდეგენი, ჩვეულებისამებრ, რომელსამე ფრაზას მიეკოწიწებიან და ათას კუდს გამოაბმენ. ამიტომ ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ საქმის საბოლოოვოთ გადასაწყვეტათ ვინმე **მიუდგომელ პირის** საქმეში ჩარევაა აუცილებლად საჭირო. ამ პირმა უნდა მიმართოს ყველას, ვინც კი მე მიცნობს და ვისაც ჩემზე რამე სათქმელი აქვს, და სთხოვოს მიაწოდონ მასალა როგორც ჩემი გასამართლებელი, ისე გამამტყუნებელიც. ამავე პირმა უნდა შეაგროვოს ყველა ოფიციალური ქაღალდები, რომლებიც კი მახასიათებენ მე, ჩემს მოქმედებას სამსახურის დროს. და აი, ყველა ამგვარ ცნობების შეგროვების შემდეგ **ჩემის და საზოგადოების ნდობით აღჭურვილმა პირმა** უნდა გამოაქვეყნოს ეს მასალა და თავისი მსჯავრიც დამდოს მე, სთქვას, ვინა ვარ: სამშობლოს მოღალატე თუ მისი უერთგულესი შვილი...

და როცა ის ამას იტყვის, ჩემ წარსულზე სჯა და ბაასი **საბოლოოვოდ უნდა მოისპოს...**

ასეთ პირად მე მიმაჩნდა და მიმაჩნია ყველასაგან პატივცემული და ცნობილი მედგარი მოტრფიალე და მიმდევარი სიმართლისა **ყოვლად უსამღვდელოესი დავითი, ეპისკოპოსი ალავერდისა.** მასთან პირადი მოლაპარაკება მქონდა ხსენებულ საგნის შესახებ და ახლა, ამ წერილით, ოფიციალურადა ვთხოვ თავს იდვას ჩემის საქმის გარჩევა, ხსენებულ მასალის შეგროვება. იმედია, ჩემნი მტერნი იყაბულებენ ამ ჩემს არჩევანს და მიენდობიან ყოვლად—სამღვდელო დავითის სიტყვას... ხოლო თუ, ჩემთან პირადის ანგარიშებით დაბნელებულნი, ყველასაგან ცნობილ და პატივცემულ მღვდელ-მთავარსაც დასწამებენ ვისიმე მიკერძვას, უკანასკნელ შემთხვევაში ნებას ვაძლევ ყველას სამედიატორო სამართალში გამომიწვიონ...

მანამდის კი, ვთხოვ ყველას, მტერსაც და მოკეთესაც, ჩემზე გაზეთებში ნუღარას დასწერენ, გაჩუმდნენ და ბანოვან მღვდელ-მთავრის პირუთვნელ მსჯავრს დაუცადონ, მიაწოდონ მას ყოველგვარი მასალა ჩემს შესახებ: საქმის ქაღალდები, პირად შთაბეჭდილებანი, მოგონებანი და სხვა და სხვა.

მივმართავ ყველა ჩემ ყოფილ მოწაფეს, სამსახურის დროს ჩემ უფროს და ხელქვეითთ და საზოგადოდ ყველა იმას, ვისაც პატიოსნებისათვის დ სიმართლისათვის გული შესტკივა: ხელი აღმიპყრათ, მხარი მომეცით სიმართლის აღსადგენათ, მომეცით საშუალება სიბერის დროს მაინც დავიმშვიდო გული და სავსებით მივეცე საყვარელ საქმეს—ქართულ ენის და ისტორიის კვლევა-შემუშავებას.

ყველა წერილები, გთხოვთ, **დაზღვევით** (заказное) გამოგზავნოთ. ჩემი ადრესი: г. Гори, Старо-Казначеевская, д. Амирагова.

ყოვლად - სამღვდელო დავითისა: г. Телавъ, Шуамтинскій монастырь.

**თევდორე დავითის ძე ჟორდანია**

7 მარტი 1912 წ. ქ. გორი.

P. S. ვთხოვ ყველა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს ჩემი წერილი. **თ. ჟ.**

## მოწერილი ამბები

**ს. საგარეჯო** (გარე კახეთი) ამ ბოლო დროს სოფელ საგარეჯოსაც დაეტყო გამოცოცხლების და წინმსვლელობის ნიშანწყალი. თითქმის წელიწადია, რაც აქ დაარსდა **წვრილი კრედიტის ამხანაგობა,** რომელიც შრომის და საქმის მოყვარე გამგეობის მეოხეობით წინ მიდის და თუ დაარსებისას მხოლოდ ოცდა ათი წევრი ჰყავდა და სხვები მას გაურბოდნენ, დღეს ამხანაგობის მნიშვნელობა და სარგებლობა ყველამ გაიგო და მას სამას წევრამდე უკვე ჰყავს, მხოლოდ ბანკს ფული ცოტა აქვს და ბევრი რჩება დაუკმაყოფილებელი. საჭიროა გამგეობამ აღძრას შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს, და ითხოვოს ამხანაგობის თანხის გაძლიერება.

აქვე გასულ შემოდგომას საზოგადოებამ განაჩენით დაადგინა გაიხსნას **ფოსტის განყოფილება** და შესაფერისი შუამდგომლობაც აღძრა. ასე რომ დღე დღეზე მოელიან ფოსტის გახსნას.

საგარეჯოში დიდი ხანია სახალხო **წარმოდგენები** იმართება ზაფხულობით. აქ მუდმივი სახლიც აქვთ დაქირავებული და შეძენილი აქვთ საჭირო მოწყობილობაც. დიდი ხანია სურვილი აქვთ საკუთარი შენობის აგებისა, მაგრამ ვერა მოახერხეს რა დღემდის, ამის შესახებ რამოდენიმე კომისია იყო არჩეული, მაგრამ ვერას გახდა. შარშან ზაფხულსაც ამოირჩიეს კომისია და დაავალეს ადგილის შეძენა და თეატრისთვის საკუთარი შენობის აგება, რისთვისაც დაევალა მათ ხელმოწერით ვალის შეკრება. ეს კომისია პირველად ადგილის შეძენას შეუდგა. ამისთვის მან მიჰმართა საზოგადოებას და სთხოვა ეგრედ წოდებული „ხატის ვენახი“, რომელიც წინეთ სახაზინო ყოფილა და ეხლა კი სოფლის მფლობელობაში გადასულა, მაგრამ სოფელი კი სრულიად არ სარგებლობს. სოფელმა კომისიას თავისთვის გამოუსადეგარი ადგილი თეატრისთვის არ დაუთმო და თავისი უარი, იმითი დაასაბუთა, რომ თეატრი გარყვნიდა მათ შვილებს და ცხოვრების გზას აუბნევდა. მიუხედავად ამისა კომისია იმედს მაინც არ ჰკარგავდა და აგიტაციას ეწეოდა ხალხში. კომისიას შრომამ უბრალოდ არ ჩაუარა და საზოგადო ყრილობაზე **26 თებერვალს, საზოგადოებამ განაჩენით ეს ადგილი დაუთმო თეატრსა და ბიბლიოთეკას.** ამის შემდეგ იმედია კომისია შეუდგება ფულების შეგროვებას შენობის ასაგებად. როგორც გავიგეთ, ის ამ დღეებში მიჰმართავს ხალხისათვის გულ შემატკივარ პირებს, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ საზოგადო საქმეში. საგარეჯოს შვილები კი, რომელთა რიცხვი საკმაოა სხვა და სხვა ქალაქებში და კერძოდ ტფილისში, იმედია არ დაიშურებენ ამ საქმისთვის თავიანთ შრომას და გულმხურვალეთ გაიღებენ შემწეობას. და თუ ბედმა არ უმტყუნა საგარეჯოს, მალე საკუთარი შენობაში წარმოდგენებს გაჰმართავს.

აქვე არსებობს **ორკლასიანი სამინისტრო სკოლა,** რომელშიც რვა მასწავლებელია, მათში ხუთი მასწავლებელი, ორი მღვდელი და ერთი ხელ საქმის მასწავლებელი. რიცხვი შეგირდებისა 24 აღემატება. ამავე სკოლასთან საზოგადო განაჩენით სახელმწიფო ხარჯით არსდება **სახელოსნო განყოფილება,** რომელიც მალე უნდა გაიხსნას. ამნაირად ბავშვები წერა-კითხვასთან ერთად ხელობასაც შეისწავლიან.

აგერ რამდენიმე თვეა **ბიბლიოთეკაც** გახსნა და მკითხველები ცოტცოტათ ემატებიან. მხოლოდ ბიბლიოთეკას მარტო ორი გაზეთი მოსდის და არც ერთი ჟურნალი. წიგნებიც ნაკლები აქვს. საჭიროა გამგეობამ ამას ყურადღება მიაქციოს და ეს ნაკლი რამოდენიმეთ მაინც შეავსოს.

კახელების ოცნება **რკინის გზის** შესახებ ლამის ხორციელდება. პირველ ხანებში კახეთის რკინის გზის გაჰყვანა საგარეჯოში ბევრს არა სჯეროდა, მაგრამ ამ დღეებში მოსულმა ინჟინრებმა, რომელთაც რამოდენიმე სახლი დაიქირავეს, ყველა დაარწმუნა, რომ კახეთის რკინის გზა ოცნება არ არის და დღეს თუ ხვალ სინამდვილედ გადაიქცევა. ვნახოთ რაც იქნება.

აქ ამ დღეებში რამოდენიმე კრება მოხდა **„მომხმარებელი ამხანაგობის“** დასაარსებლად. კომისიაც აირჩიეს წესდების შესადგენად და ახლო მომავალშიც აპირობენ საქმის დაწყებას. თუმცა ზოგიერთებს არა სჯერათ მისი განხორციელება და ჯერ-ჯერობით გაურბიან ამ საქმეს, მაგრამ იმედია თვითონ საქმე დაარწმუნებს ურწმუნო თომებსაც, რომ ეს ფრიად სასარგებლო საქმეა სოფლისათვის.

**პ. ფ—შვილი.**

## რუსეთი, ოსმალეთი და იტალია

დეპეშები

**სტამბოლი.** დარდანელში ნაღმის ჩაწყობის გამო დიდ გემებს ცურვა უჭირთ. გემი „ცინცინატი“ სმირნას დაბრუნდა, რადგან სრუტეში გასვლა ვერ მოახერხა.

**რომი.** კრიტეს საკითხის გამო „ტრიბუნა“ სწერს: იტალია მზადაა კრიტეს ხელი შეუშალოს საბერძნეთთან შეერთებაში. იტალია მაინც ხელს არ შეუწყობს ოსმალეთს, რადგან თანაუგრძნობს კრიტელებსა. იტალიას ახლანდელი დრო კრიტეს შესაერთებლად მოუხერხებლად მიაჩნია.

**სტამბოლი.** საელჩოს მრჩევლად ნამყოფი სვეჩინი ჩამოვიდა. ჩარიკოვმა 12 მარტს ხონთქარი უნდა ინახულოს.

გაზეთებიდან.

**რუსეთ-იტალიის შეთანხმება.**

„რადიკალი“ სწერს, ჯერ კიდევ რაკონიჯში რუსეთმა და იტალიამ საიდუმლო პირობა დასდეს, ოსმალეთში ერთად ვიმოქმედოთო. საზოგადოდ პარიზში ხმა დავარდნილა, დიდ ამბებს უნდა მოველოდეთო.

ძალიან აღელვებულნი არიან თურმე იმ ხმების გამო, რომელიც რუსეთის სამხედრო მზადების თაობაზეა გავრცელებული.

პეტერბურგში ხმა დავარდნილა, იტალიამ გადაჭრით გადასწყვიტა დარდანელზე იერიში მიიტანოსო.

პეტერბურგის გაზეთების სიტყვით შავი ზღვის რუსეთის ფლოტი სამხედრო მზადებაშია.

ვენიდან „კასპს“ ატყობინებენ, ავსტრიასა და რუსეთს განზრახვა აქვთ მახლობელ აღმოსავლეთში საერთო სამოქმედო პროგრამა შეიმუშავონო.

გაზეთები ყოველდღე მსჯელობენ, რა მიზეზია ნეტავი, რომ რუსეთმა

პირი იბრუნა და ოსმალეთის მიმართ პოლიტიკა შესცვალაო.

როგორც „რუსკოე სლოვოს“ პარიზიდან ატყობინებენ, ოსმალეთისათვის, გარდა რუსეთისა, ყველა სახელმწიფოს შეუთვლიათ, რაკი მოლაპარაკებით ვერაფერს გავხდით და იტალია ზავზე ვერ დავითანხმეთ, ნეიტრალიტეტს დავიცავთო.

„მატენში დაბეჭდილი“ ყოფილა დეპეშა: ერთი ბერლინიდან, მეორე სტამბოლიდან. ორივე დეპეშას გადმოგვცემს „რუსკოე სლოვო“. **ბერლინიდან**: სტამბოლიდან გვწერენ, რუსის მთავრობამ შეატყობინა ოსმალეთის მთავრობას, რომ 20 მარტს ღამე ბოსფორში რუსის ფლოტს ალღუმი ექნებაო.

**სტამბოლიდან**: ოსმალეთის მთავრობა ოფიციალურად აცხადებს, 20 მარტს ბოსფორის ბატარეიდან საცდელი სროლა ასტყდებაო.

—

როგორც „რუსკოე სლოვო“-ს ატყობინებენ პარიზიდან, ოფიციოზი „რადიკალი“ შიშობს, ვაი თუ რუსეთმა დამოუკიდებლად, სამ შეთანხმებულ სახელმწიფოთა დაუკითხავად დაიწყოს მოქმედება მახლობელ აღმოსავლეთშიო. ეს ისეთს გარემოებას შექმნის საერთაშორისო პოლიტიკაში, რომ საქმის გამწვავება აუცილებელი იქნებაო. „რადიკალი“ იმედოვნებს, რუსეთი მალე მოვა გონს და დარწმუნდება, რამდენად საშიშია სახელმწიფოთა სოლიდარობის დარღვევა მახლობელ აღმოსავლეთშიო.

—

ბერლინელი კორესპონდენტი პარიზის ერთს გაზეთს ატყობინებს, რუსეთი აქეზებს იტალიას და ჰგზავნის დარდანელში, რათა კრიტიკულ მომენტით ისარგებლოს და სრუტეში გასვლის უფლება მოითხოვოსო.

—

პარიზში მყოფ ოსმალეთის ელჩს რიფაად-ფაშას განუცხადებია ჰუანკარესთვის, ყოვლად შეუძლებელი იქნება ზავის შესახებ მოლაპარაკება, თუ იტალიამ ტრიპოლის ანექსიაზე უარი არ განაცხადაო.

—

პეტერბურგიდან ტელეფონით ატყობინებენ „რუსკ. სლოვო“-ს, დიპლომატთა წრეებში ძალიან შიშობენ, რომ მახლობელ აღმოსავლეთში მშვიდობიანობა არ დაირღვეს. პეტერბურგსა, ბერლინსა, ვენასა, პარიზსა და ლონდონში დანამდვილებით იციან, რომ იტალიას აზრადა აქვს დარდანელში შევიდეს და ამით ოსმალეთი აიძულოს ომი გაათაოს.

—

ლონდონიდან იმავ გაზეთს ატყობინებენ, ბირჟაზე უცხოეთის სახელმწიფოთა ფასიანი ქაღალდები დაეცაო. განსაკუთრებით დაცემულა ოსმალეთის ფასიანი ქაღალდები. მიზეზად რუსეთ-ოსმალეთის მოსალოდნელ კონფლიქტს ასახელებენ.

# ჩინეთის რესპუბლიკა

## დეპეშები.

**პეკინი.** პეკინში ძალიან ცუდს გუნებაზეა ხალხი. ვაჭრობა მინელდა. ქალაქის მიდამოებში ყოველ ღამ ზარბაზნის სროლაა.

**ჩიფუ.** სამხრეთიდან კიდევ მოვიდა 800 ჯარისკაცი. ხმა დავარდა, შეიძლება ამბოხება დაიწყოსო. ჯერჯერობით მშვიდობიანობაა.

**ურგა.** ხუტუხტას იუანშიკაისაგან დეპეშა მიუღია. პრეზიდენტი აფრთხილებს, ყურს ნუ უგდებთ მოქადაგეებსა და ხელი აიღეთ მონგოლეთის დამოუკიდებლად გამოცხადებაზეო. თუ ამას არ იზამთ, ცუდი დღე დაგადგებათო. რა უპასუხა ხუტუხტამ იუანშიკაის, ჯერ არ იციან. ტყუილია, ვითომც კიახტასა და ურგას შორის რუსეთის ფოსტა არ დადიოდეს.

**პეკინი.** ჩრდილოეთის პროვინციებში დიდი სამხედრო აჯანყებაა. შანსიში მეამბოხეებმა რამდენიმე ქალაქი დასწვეს. არეულობის დაწყებისა ეშინიათ ჩჟილის პროვინციელებსაც.

**კულჯა.** ილის მხარეში მომხდარ ამბების გამო ურუმცასა, აქსუსა და ტურფანის შორის მისვლა-მოსვლა შესწყდა. ვაჭრებმა რუსეთის საელჩოს მიჰმართეს, იშუამდგომლეთ რათა მისვლა-მოსვლის ნებართვა აღადგინონ, თორემ ვაჭრობა ძლიერ ფერხდებაო.

**რომი** „სტეფანს“ პეკინიდან ატყობინებენ: იტალიის ელჩს რუსეთის რწმუნებულისათვის ტიანცინში წინადადება მიუცია: რუსის ჯარს სადგომს დაუთმობთო. რუსეთის საქმეების რწმუნებულს ეს წინადადება მიუღია.

**კულჯა.** საჩუანცზთან დიდი ბრძოლა მოხდა. ურუმცის ჯარი დაამარცხეს. დაჰკარგეს 1500 კაცი. რევოლუციონერებს მოუკლეს 200. რევოლუციონერებმა ხელში ჩაიგდეს იარაღი და შიხოზე გაილაშქრეს.

# ოსმალეთ-იტალიის ომი

## დეპეშები

**რომი.** გაზეთები და საზოგადოება იმპერატოს ვილჰელმისა და მეფე ვიქტორ ემანუელის შეხვედრას საპოლიტიკო მნიშვნელობას აძლევენ. „ტრიბუნის“ აზრით ლაპარაკის საგანი ომი იქნებაო. „ჯიორნალე იტალია“ სწერს, იტალია გერმანიისაგან უეჭველ ნეიტრალიტეტს უნდა მოელოდსო. გერმანიისათვის ხელსაყრელი ვერ არის იტალიის უმოქმედობაო,

**პორტ-საიდი.** აღმოაჩინეს ბრბო, რომელსაც სამხედრო კონტრაბანდა გადაჰქონდა ტრიპოლში. ამ დღეებში 8 ათასი თოფი გადაუტანიათ.

**ტრიპოლი.** 6 მარტს ტრიპოლისა და აინზარის სიმაგრეს შორის გაყვანილ რკინის გზაზე მიმოსვლა დაიწყო. ამბობენ, ბენგაზში ჯარის გადაყვანა დაიწყესო.

# აკადემიკოს-სტუდენტების კრება

## დ ე პ ე შ ა.

(პეტერბურგ. დეპ. სააგენტოსაგან).

**პეტერბურგი.** დაიწყო რუსეთის აკადემიკოს-სტუდენტების პირველი კრება. დაესწრნენ ვოლინის არქიეპისკოპოსი ანტონი, საბლერი, სასახლის კომენდანტი დედიულინი მეუღლითურთ, სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს წევრები, მონარქისტულ ორგანიზაციების წევრები, პროფესორები და აკადემიკოსები. სხდომის დაწყებამდის არქიეპისკოპოსმა ანტონმა პარაკლისი გადაიხადა, რომლის შემდეგ სიტყვით მიჰმართა სტუდენტებს. კრების საპატიო თავმჯდომარემ დედიულინმა სხდომა დაწყებულად აღიარა და სტუდენტებს მათი სამღვთო მოვალეობა მოაგონა: ისწავლეთ და უმაღლეს სასწავლებელში წესრიგი დაიცავითო. იმღერეს ჰიმნი. საბლერი კრებას სიტყვით მიესალმა. მისალმების დეპეშები წაიკითხეს, მათ შორის კოკოვცევისა. თავმჯდომარის თანაშემწეებად არჩეულ იქმნენ პურიშკევიჩი და ზამისლოვსკი.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

## ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე დ,

13 მარტი

### სამოსის მთავრის მკვლელი.

**სტამოლი.** სამოსის მთავრის მკვლელი კუნძულ სამოსზე დააპატიმრეს. მინისტერთა საბჭომ გადასწყვიტა სამოსის მათავრად დანიშნოს ბერძენი ბეგლერი, ტრ პიზონში ვიცეალად ნაყოფი.

### რუმინიის სამინისტრო

**ბუქარესტი.** სწადდათ შეედგინათ სამინისტრო მაიორესკუს მეთაურობით, მაგრამ ვერ მოახერხეს ოპოზიციას გადაუწყვეტია, ბრძოლა განაგრძოს-

### გაფიცვები.

**ლონდონი.** მაღაროების პატრონებთან და მუშებთან მოლაპარაკება ასკვიტმა 13 მარტამდე გადასდო.

**გლაზგო.** ბელშილში მუშაობა განაახლა 10,110 კაცმა, სხვა მაღაროებში ათასამდე კაცი დაადგა მუშაობას.

**ბრიუსელი.** მაღაროების პატრონთა უმრავლესობამ ხელფასი მოუმატა. გაფიცვა მთელ ბელგიაში დასრულდა.

### ამბოხება მექსიკაში.

**სიმენეცი.** ბრძოლა, რომლის შესახებ 10 მარტს იტყობინებოდნენ, სამ დღეს გაგრძელდა. ორივე მხარე ძალიან დაზარალდა. მეამბოხეთ დინამიტით დატვირთული ორთქლმავალი გაუშვეს ჯავშნიან მატარებლის წინააღმდეგ. შეტაკების დროს 60 კაცი მოჰკლეს.

### საარჩევნო უფლებისათვის.

**ბუდაპეშტი.** რადიკალურმა ბურჟუაზიამ და მუშებმა საარჩევნო უფლების სასარგებლოდ მიტინგი გამართეს. შემდეგ პარლამენტისაკენ გაეშურნენ, პოლიციასთან შეტაკების დროს 40 კაცი დაიჭრა. ხალხი საარჩევნო უფლების მოწინააღმდეგე დეპუტატის ბაშჩონის ბინისაკენ გაეშურა და ფანჯრები ჩაამტვრია, მრავალი დაიჭრა. ბევრი დემონსტრანტი შეიპყრეს.

## რ უ ს ე თ ი

### ყალბი ფულების აღმოჩენა.

**სარატოვი.** აღმოაჩინეს ყალბ ფულების ქარხანა. 4 კაცი დააპატიმრეს.

### შეკითხვები,

**პეტერბურგი.** სათათბიროს შეკითხვათა კომისიამ მიიღო შეკითხვა პეტე ბურგის ქალაქის უფროსის განკარგულების შესახებ: წინააღმდეგ 1906 წლის 4 მარტის კანონისა მუშათა საპროფესიო ორგანიზაციების სხდომაზე პოლიციელთა დასწრებისა და ყაჩაღთა შესაპყრობელ ზომების მიღების დროს კავკასიის ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების თაობაზე.

# გ ა ფ ი ც ვ ა.

## დ ე პ ე შ ე ბ ი.

### ხელფასის მინიმუმი.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. 13 საათიან სხდომის შემდეგ გადასწყვიტეს ხელფასის მინიმუმის საკითხი მომავალ კვირას განიხილონ. მთავრობას განზრახვა აქვს ორშაბათს მუშათა და დამქირავებელთა კონფერენცია მოიწვიოს.

**ფოლრივერი** (მასაჩუსეტსი). ბამბის დამზადებელ ქარხანათა პატრონების კავშირი დასთანხმდა 23 ათასს მუშას ხელფასის 10% მოუმატოს. ამის გამო ფართლეულობის ფასმა აიწია.

### ჩეხელთა გაფიცვა.

**პრაგა.** ჩრდილოეთ ჩეხიის გაფიცვა თან და თან სუსტდება. მაღაროების პატრონებმა დააკმაყოფილეს მუშათა მოთხოვნილებანი. ცუდათაა საქმე მხოლოდ მორავიაში.

## გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

### გაფიცვის გავლენა;

ინგლისის მაღაროების მუშათა გაფიცვამ ქვეყნის მაჯის ცემა ძლიერ შეასუსტა. თვით ინგლისში ოითქმის ყველა დარგს დაეტყო გავლენა გაფიცვისა. რკინის გზებზე მიმოსვლა ძალიან შემცირდა და რკინის გზის 120 ათასი მოსამსახურე უმუშაოდ დარჩა. გარდა ამისა, გაფიცვის გამო დაითხოვეს სხვა და დარგის მრეწველობის 800 ათასი მუშა.

გაფიცვამ მეფის განზრახვაზედაც კი იმოქმედა. მეფეს ევროპის სახელმწიფოები უნდა მოევლო და მეფეებს სწვევოდა, მაგრამ ამ განზრახვაზე ხელი აიღო, რადგანაც ქვეყნის გაჭირვების დროს წვეულობის დრო აღარ არისო.

# რუსეთი

### კიდევ საჩივარი 34 დეპუტატზე.

მარიუპოლის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, სერგეი ვიქტორის ძე კოვალევსკის, იუსტიციის მინისტრს საჩივარი წარუდგინა იმ 34 დეპუტატზე, რომელთაც ხელი უწერიათ კარაგაევის მოკვლით გამოწვეულ შეკითხვაზე.

საჩივარში ნათქვამია: შეკითხვაში მოხსენებულია, რომ კოვალევსკიმ მოაწყო კარაგაევის მოკვლის საქმე, კოვალევსკის სახლში მოხდა თათბირი, რომლის დროსაც არჩეულ იქმნა კომისია კარაგაევის მოკვლის განზრახვის სისრულეში მოსაყვანადაო. მომჩივანი ყოველივე ამას საზიზღარ ცილის წამებად სთვლის და მოითხოვს შეკითხვაზე ხელის მომწერი დეპუტატები სამართალში მიცემას.

იუსტიციის მინისტრს ეს საჩივარი მინისტრთა საბჭოსთვის წარუდგენია.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორს საბლერს რუსეთის სამღვდელოების კრების მოწვევის შესახებ საკითხი აღუძრავს: სასურველია, თუ არა ეხლავე გამოვაქვეყნოთ კრების მოწვევის დრო.

ამ საკითხის გადაწყვეტა ნაადრევად უცვნიათ.

# ანგარიში

ანგარიში ისტორიული საღამოსი, რომელიც გამართული იყო **„განათლების“** საზოგადოებისაგან 28 დეკემბერს, 1911 წელს. გაყიდული ბილეთებიდან შემოვიდა 903 მ. 55 კ. გრაფინია ელისაბედ ანდრიას ასული ვორონცოვ-დაშკოვისაგან 100 მან., ვენერის გროტისაგან 86 მან., გაყიდული ყვავილების, ქეტონების და პროგრამებისაგან 155 მან. 80 კ. ბუფეტიდან და შამპანიურიდან 153 მ. 30 კ. შემოწირული 97 მან. 90 კაპ. სულ შესდგა 1496 მან. 55 კ.

**დანახარჯი**: დარბაზების ქირა 221 მან., მუსიკა და საზანდარი 65 მან., მარკები, ყვავილები, ქეტონები და კანფეტები 80 მ. 60 კ. ტანისამოსის ქირა, ცეკვა და პარიკმახერი 58 მან. 40 კ., მხატვარს და დარბაზების მორთვა 226 მ. 40 კ., ბილეთების, დაპატიჟების ბარათების და აფიშების დაბეჭდვა, განცხადებები გაზეთებში, აფიშების გაკვრა, ყვავილებისთვის ქაღალდი და სხვა 37 მ. 25 კ. ბუფეტის ხარჯი და შამპანიურის და სხვ. წვრილმანი 70 მან. 26 კაპ. სულ დაიხარჯა 758 მ. 91 კ. წმინდა შემოსავალი 737 მან. 64 კ. (ამ ბილეთების ფასში ჯერ არ შემოსულა 24 მ.).

საზოგადოების გამგეობის მაგივრად დიდ მადლობას ვუძღვნი გრაფინია ელისაბედ ანდრიას ასულ ვორონცოვ-დაშკოვისას და ყველა იმ პირთ ვინც გამოგზავნა შემოწირულება, იმათ ვინც კეთილ ინება და მიიღო მონაწილეობა სურათების დადგმაში, ცეკვაში და სხვ. დაგვეხმარნენ „საღამოს“ გამართვაში.

**ისტორიულ-საღამოს დიასახლისი კნ. ნინო ელიზბარის ასული ქობულაშვილისა.**

# თეატრი და ხელოვნება

**ნაძალადევის თეატრი.** კვირას, 11 მარტს, ნაძალადევის ს. სახლში ს. ს. წრის მიერ მსახიო ქ. ე. ჩიქოვანის საბენეფისოდ წარმოადგინეს „ლალატი“. ამ საღამოს აუარებელი ხალხი მოაწყდა, თეატრის დარბაზში ტევა არ იყო. თუმცა ამ პიესის დასადგმელად ნაძალადევის სცენა მეტად პატარა, მაგრამ საერთოდ წარმოდგენამ მოლოდინს გადააჭარბა.

ლ—შვილი.

**სომხური კონცერტი.** ათის წლის წინად ტფილისში გარდაიცვალა კავკასიის სომეხთა შორის ცნობილი კომპოზიტორი ქრისტაფორ კარამურზა, რომელიც ხალხოსნურ სიმღერებს აგროვებდა და შემუშავების შემდეგ კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებში კონცერტებს მართავდა, გარდა ხალხურ სიმღერებისა, იგი ამასთანავე სწერდა ეროვნულ სიმღერებსაც, რითაც მან სომხის საზოგადოებაში სახელი გაითქვა. 1902 წ. ქ. კარა-მურზა გარდაიცვალა ტფილისში გულის სიგანივრით. წელს შესრულდა მის სიკვდილის დღიდან ათი წლიწადი, ამ დ_ის ალსანიშნავად და განსვენებულის საფლავზე ძეგლის დასადგმელად მარტის 12-ს ტფილისის საზოგადო საკრებულოში მისი ძმის ექიმ პ. კარა-მურზას თაოსნობით და ლოტბარობით გამართულ იქმნა კონცერტი, მომღერალთა გუნდმა შეასრულა 20-მდე სიმღერა განსვენებულ კომპოზიტორის მერ შემუშავებულ სიმღერებიდან.

კონცერტის დასაწყისს პიანისტმა მ. სამუელიანმა როიალზე დაუკრა შოპენის „Marche Funebre“-ი, რომელიც საზოგადოებამ ფეხზე ამდგარი მოისმინა. ამის შემდეგ სომხის ცნობილმა მწერალმა ატრპეტმა რამდენიმე სიტყვით საზოგადოებას გააცნო ქ. კარა-მურზას ვინაობა, დაასურათა მისი ღვაწლი და შრომა.

საზოგადოებას სიმღერები საერთოდ მოეწონა, ასე რომ ხორო იძულებული იყო რამდენიმეჯერ გაემეორებინა სიმღერები. კონცერტს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. ხორომ იმღერა ხალხური, ეროვნული სიმღერები და საეკლესიო საგალობლები. გარდა ამისა, მომღერლებმა მ. ალაიანმა და შ. ტატიანმა იმღერეს რამდენიმე სიმღერა solo. გუშინ ერთი და იგივე კონცერტი გაიმართა ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლში, იაფ-ფასიან შესავლით.

# ჩვენი ფოსტა

**თელავი. ბ-ნ მელქო აჯი-მამუდოვს.** თქვენგან არავითარი საპასუხო წერილი არ მიგვიღია.

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)

(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

### ტფილისიდან გადის.

**ბათუმისაკენ**: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., სად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. სად. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ**: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4. I—III კლ. ღამ. 11 ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარში დილ. 5 ს. 18 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ**: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ს, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ**: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სად. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სად. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

### ტფილისში მოდის.

**ბათომიდან**; 1) სამგზ. № 6, I—II კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან**: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. სად. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან**: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან**: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები**: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

## უფასო სამკურნალო დახმარება

### ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

## გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

### რუსეთის საზოგადოებისა.

**ბათომიდან გადის**: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაეშლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—II—

## სასანიტარო ექიმები

**უბნები**: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნალიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, [illegible] ტელ.

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილ. ქ., 174 ტელ. 822).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების მოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესოება შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში [illegible]ყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და სოლოლაკის მოედანზე.


# განცხადებანი

**ექიმი ე. ფაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებ[ით] ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამო[თი] —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—5).

**ექიმი პ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყო[ფებს] ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავ[რის] ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ — 11—12 ს. შეშხაპუნე[ბა] კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი**; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი**: 1—2 ს. შინაგანი ბ[ავ]შვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შ[ი]ნაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, [ქა]ლებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, ს[ი]ფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი**: 12—1 ს. საბებიო, [ქა]ლებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 12—1 ს. შინაგა[ნი], საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქი[ა]ნი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი**: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვ[ის] უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციებ[ი] მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ. 1074.35)

# ფეხსაცმელები

## თომა დ. ჯანყარაშვილის მაღაზია-სახელოსნოში.

იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალი[ს]ა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებ[თ] შეკვეთიდაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებ[თ] პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2. (25—285—5)

**დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე**

სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს[ზე]

**„გიორგის შრომა“**

სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სალობავი ეკალი (გლედიჩია) 100—3—6 მან.

დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომ[ი]** ამიერ კავკ. რკ. გზა) **გიორ. ბეჟან. ტატიშვილს.** (თ.—1145—5)

# ბაღოსნობა ძმ. ავსარკისოვებისა სად. სკრაში

კავკ. რკ. გზ. ჰგზავნის **ხეხილის ნერგებს** საზღვარ-გარეთულს, რუსულ, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და **საწალკოტო (დეკორატიული) ხეებსა** და **მცენარეებს** ხელმისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра З. Ж. Д. Авсаркисову.

**ფირმა დაჯილდოვებულია ვერცხლის დიდ მენდლით** 1911 წ. **მოსკოვში** გამართულ სრულიად რუსეთის ბაღოსნობის მოყვარეთა საზოგადოების საიუბილეო გამოფენაზე. და **ოქროს დიდ მენდლით ტფილისში** პირველ მორიგ ხილის ბაზარ-გამოფენაზე. (6—1120—5)

# ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კომარი, სალიანის თევზეულობა შამაია და ყოველ გვარი გამოსხული თევზი

(წ.—1131—14)

**თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.**

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.